UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები
მერვეედფინალი, პირველი ტური

პერსპექტიული ანგარიში

ბრემენი. „ვეზერშტადიონი“. 25 ნოემბერი.

„ვერდერი“: რეკი, სააფი, ჰერმანი, ბრატსეტი, ზაუერი, ბოროვკა, ორდენევიცი (ბუგსმიულერი, 70), ვოტავა, რიდლე, ნოიბარტი, მაიერი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, ცვეიბა, რევიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, კორღალაძე, გურული (ქეცბაია, 67), შენგელია.

გააფრთხილეს მაიერი, გურული, ჩივაძე, სულაქველიძე, კორღალაძე, ჭედია.

უეფა-ს თასის მერვეედფინალის პირველი მატჩი ბრემენის სტადიონზე დაიწყო ისე, რომ ყველას, ვინც კი ამ თამაშით იყო დაინტერესებული, გონებაში გაუელვა: აჰა, მეორდება მოსკოვის „სპარტაკის“ ისტორია.

და მართლაც, არ შეიძლებოდა არ გაგვხსენებოდა „ვერდერისა“ და „სპარტაკის“ მატჩი ამავე სტადიონზე, როცა სპარტაკელთა დაცვისა და მეკარის აშკარა ლაფსუსის შედეგად სპარტაკელთა კარში უკვე მე-4 წუთზე ბურთი გავიდა. დინამოელებმაც ამჯერად აშკარა შეცდომა დაუშვეს, რითაც ისარგებლა მასპინძელთა თავდამსხმელმა ნოიბარტმა და პირველი ბურთი გაგზავნა დინამოელთა კარში.

ეს მე-3 წუთზე მოხდა, შემდეგ კი „დინამოს“ კართან ანალოგიური სიტუაცია გამეორდა, ამ შემთხვევაში ზუსტად ითამაშა რიდლემ და ანგარიში 2:0-მდე გაზარდა. მიმდინარეობდა მე-18 წუთი.

ორი ბურთი მატჩის დასაწყისში თითქმის კატასტროფას უქადდა ჩვენს გუნდს და იმ მე-18 წუთზე ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, დინამოელები რომ ასე მკვეთრად შემოატრიალებდნენ თამაშის ბედს. ცხადია, საჭირო იყო საგანგებო ნებისყოფისა და ბრძოლის წყურვილის გამოვლენა, რომ გუნდს უკუღმა წასული საქმეები წაღმა შემოეტრიალებინა. ახლა, რაც არ უნდა მოვერიდოთ ჭარბ კომპლიმენტებს, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები მაინც იმსახურებენ ქათინაურებსაც, ქებასაც და ყოველმხრივ წახალისებასაც. მათ ისე რომ არ ეთამაშათ, როგორც მე-20 წუთიდან მოყოლებული მატჩის ბოლომდე ითამაშეს, ასეთი თავგამოდებით და მონდომებით არ ებრძოლათ, საპასუხო მატჩში, რომელიც 9 დეკემბერს მოგველის ჩვენს სტადიონზე, საქმე მიდგებოდა ამ ორი გუნდის უსარგებლო, ფიქციურ თამაშამდე, ვინაიდან „ვერდერი“ ფაქტიურად პირველ მატჩშივე გაინაღდებდა მეოთხედფინალში გასვლის გარანტიას.

მართალია, წაგებულ თამაშზე ცოტა უხერხულიცაა ასეთი ამაღლებული, ზეაწეული ტონით საუბარი, მაგრამ ევროპის საკლუბო ტურნირებს თვისი კანონი აქვს, მეტოქის მინდორზე მინიმალური სხვაობით წაგებას, მით უმეტეს, თუ მის კარში ბურთიც

გაქვს გატანილი, პერსპექტიულ წაგებად მიიჩნევენ. და რახან თბილისელებმა ბრემენში ეს გააკეთეს, გარკვეული საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ შინ ისინი მეტსაც შეძლებენ.

ამ პერსპექტივას საფუძველი რამაზ შენგელიამ დაუდო, რომელმაც მე-20 წუთზე მეტოქის რამდენიმე მცველთან ბრძოლის თავი იხსნა, სახიფათო მომენტი შექმნა და ძალზე ზუსტი, ძლიერი დარტყმით საპასუხო ბურთი გაიტანა - 1:2.

იმავე შენგელიას უნდა ვუმადლოდეთ, რომ შემდგომშიც მასპინძლებს არაერთხელ მოუხდათ ხიფათისგან თავის ხსნა,. იგი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო მინდორზე, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საგანგებოდ არ აღვნიშნოთ სხვა დინამოელთ თავგამოდებული, შეუპოვარი, ენერგიული თამაში, გუნდის თითოეული მოთამაშე აკეთებდა ყველაფერს, რაც კი შეეძლო, ხოლო მეკარე გაბელიამ პირველი შეცდომების შემდეგ სრული რეაბილიტაცია მიიღო, დარჩენილ დროში იგი ზუსტად თამაშობდა, გამუდმებით იგერიებდა „ვერდერის“ ხშირ იერიშებს.

შესვენებამდე ბრძოლა ასე თუ ისე თანაბარი იყო, მაგრამ მეორე ტაიმში „ვერდერმა“ თავიდანვე ხელთ აიღო ინიციატივა და დროის მეტი ნაწილი სტუმრების ნახევარზე გაატარა. გუნდის იერიშებში მონაწილეობდნენ დიდი ძალები, ნახევარმცველებიც და მცველებიც და დინამოელებს მთელი თავიანთი უნარის, თავიანთ შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენა დაჭირდათ, რათ ეხსნათ კარი გოლისგან. ასეთ დროს მცველთა დასახმარებლად წინა ხაზების მოთამაშეებიც რეგულარულად ჩამოდიოდნენ, გაბელიას კარისკენ გზას კეტავდა ყველა, ვისაც ეს ძალუძდა, მაგრამ საკმარისი იყო სულ მცირე შესაძლებლობაც და შენგელია მაშინვე საპასუხო ხიფათს ქმნიდა ოლივერ რეკის კართან. ერთ მომენტში კი ჩივაძემ ძელს მოახვედრა ბურთი.

რამდენსაც არ ეცადა „ვერდერი“, მეტს მან ვერ მიაღწია და საკუთარ მინდორზე მინიმალური სხვაობით გამარჯვებას დასჯერდა. ეს კი საპასუხო მატჩში რევანშის აღების კარგ შანსს უქმნიდა ჩვენს გუნდს. საკმარისია გავიმარჯვოთ თუნდაც ანგარიშით 1:0 და მეოთხედფინალის საგზურიც განაღდებული გვაქვს.

მაგრამ კარგად დაწყებულ საქმეს კარგი დაბოლოება ესაჭიროება. შინ უნდა გავიმარჯვოთ და გავიმარჯვოთ ისე, რომ უეფა-ს თასის მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება მოვიპოვოთ. დინამოელებმა დაამტკიცეს, რომ ევროპულ პრესტიჟულ ტურნირში წარმატებით მონაწილეობისთვის მათ ძალები ჰყოფნით. გაიხსენეთ, თუნდაც, სოფიის „ლოკომოტივთან“ წლევანდელი შეხვედრები (1:3), ამიტომაც მათ საპასუხო მატჩში მთლი თავიანთი ძალები უნდა ჩააქსოვონ. ჩვენი აზრით, ეს დინამოელთა გარკვეული რეაბილიტაცია იქნება წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში მარცხიანი გამოსვლისთვის.

ჩვენი გუნდის საპასუხო მატჩს „ვერდერთან“ თბილისში მთლი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა და საზღვარგარეთის საფეხბურთო წრეებიც დიდი ინტერესით მოელიან.

ლელო 28.10.1987